საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2016 წლის 18 იანვრის №99 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

**d a d g e n i l e b a №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის აკადემიური საბჭოს მდივანმა, პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარუდგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №1894.

სენატმა დაადგინა:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შესრულება დაეკისროს ქეთევან ქოქრაშვილს;

2. დადგენილება ძალაშია 2016 წლის 18 იანვრიდან.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2016 წლის 18 იანვრის №99 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

**d a d g e n i l e b a №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარუდგინა საკითხი სტუ-ის სენატის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: სტუ-ის წესდებისა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სტუ-ის სენატის რეგლამენტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სენატის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს და თავმჯდომარეობს სენატის სპიკერი, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სენატი არაუმეტეს სენატის უფლებამოსილების ვადით“.
2. მე-14 მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პირველ სხდომაზე სენატი თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს სპიკერს. სპიკერობის კანდიდატურის წარდგენის (დასახელების) უფლება აქვს სენატის წევრს ან წევრთა ჯგუფს“.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2016 წლის 18 იანვრის №99 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

**d a d g e n i l e b a №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარუდგინა საკითხი სტუ-ის სენატის 2015 წლის 27 ოქტომბრის №93 სხდომის №4 დადგენილების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

სენატმა დაადგინა: დაზუსტდეს სტუ-ის სენატის 2015 წლის 27 ოქტომბრის №93 სხდომის №4 დადგენილებით განსაზღვრული იჯარით გასაცემი ფართობები, კერძოდ:

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე არსებული 475 კვ.მ, კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე არსებული 141 კვ.მ, კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 48.09 კვ.მ, კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის მეოთხე სართულზე არსებული 41,01 კვ.მ, კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის მეექვსე სართულზე არსებული 39.06 კვ.მ, კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსის მიმდებარედ (კოსტავას ქუჩის მხრიდან) არსებული 1051 კვ.მ, ღია კვების ობიექტის მოწყობის პირობით;

– კოსტავას ქ. №71-ში მდებარე მე-7 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 100 კვ.მ, საოფისე საქმიანობის მიზნით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2016 წლის 18 იანვრის №99 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

**d a d g e n i l e b a №4**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის აკადემიური საბჭოს მდივანმა, პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარუდგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეწარმე კურსდამთავრებულთა კავშირის შექმნის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 6 იანვრის დადგენილება №1888[1].

სენატმა დაადგინა: შეიქმნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეწარმე კურსდამთავრებულთა კავშირი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე